

უზენაესი სასამართლოს არჩევნი დასული გახმაურებული საქმეები უკვე ინტერნეტში

ინტერნეტში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი

თეონა აბიჯაშვილი

უკვე სახლიდან გაუსვლელად, საზოგადოებას საშუალება ექნება, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდიდან მოიძიოს მისთვის საინტერესო სასამართლო გადაწყვეტილებები და მათ შორის, ათეული წლის წინ დაარქივებული მასალებიც კი. ამ პროგრამების პრეზენტაცია 29 სექტემბერს, უზენაეს სასამართლოში გაიმართა. რა სიახლეს სთავაზობს სასამართლო მოსახლეობას და კიდევ რა ელექტრონულ პროგრამებს გეგმავს სასამართლო ხელისუფლება. ამ და სხვა თემებზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი გვესაუბრება.

— მედიაში ბოლო დროს გავრცელებულ თქვენს ინტერვიუებში აღნიშნავდით, რომ სასამართლოებში აქტიურად იგეგმება ელექტრონული პროგრამები და გადადიხართ ელექტრონულ საქმისწარმოებაზე. თუ შეიძლება გვითხარით, რა პროგრამებზეა საუბარი და რა შედეგს მოუტანს მათი ამოქმედება მოსახლეობას?

— სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება თავიდანვე იყო სასამართლო სისტემის უფრო მეტი გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა. ბუნებრივია, აქ იგულისხმება არა მხოლოდ ის, რომ ყველა მოქალაქეს აქვს სასამართლო სხდომებზე დასწრების შეუზღუდავი უფლება, არამედ აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებათა ძალიან ადვილად და სწრაფად მოძიებასა და ხელმისაწვდომობას. ჩვენ ამ მიზნის მისაღწევად, წლების განმავლობაში, ერთდროულად რამდენიმე პროგრამაზე ვმუშაობდით. ამჟამად საუბარია სამ პროგრამაზე, რომელიც ასევე ერთდროულად ამოქმედდა.

პირველი პროგრამა, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოებში დაინერგა, გახლავთ ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა. იგი 4 წლის განმავლობაში მუშავდებოდა და წელს 14 დიდ რაიონულ სასამართლოში დაინერგა. 2011 წლის ბოლომდე და 2012 წელს კი ყველა სასამართლოს მოიცავს. ამის შემდგომ ასევე დაინერგება სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში.

ამ პროგრამის მეშვეობით, ძალიან სწრაფი ხდება საქმეთა წარმოება. აქამდე სასამართლოებში მისაღწევის, კანცელარიის თანამშრომლები თუ მოსამართლის თანაშემწეები, ხელით აწარმოებდნენ საქმეებს. ერთი და იგივე მონაცემის შეტანა უხდებოდათ, დაახლოებით, 34 სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს, რასაც ძალიან დიდი დრო მიჰქონდა. დღეიდან უკვე ყველა ინფორმაციას კომპიუტერში სასამართლოს შესაბამისი მოხელე შეიტანს და, საჭიროების შემთხვევაში, ამ პროგრამას შეეძლება საჭირო მონაცემების დროულად და ოპერატიულად გამოტანა.

მეორე უპირატესობა, რაც ამ პროგრამას გააჩნია, არის ის, რომ მისი ამოქმედებით სასამართლო სისტემას უკვე შეუძლია ელექტრონულად მიიღოს საქმის მასალები ნებისმიერი მხარისგან, რომელიც კი ამას შეძლებს და ასევე, ელექტრონულადვე უპასუხოს მას. ეს კიდევ უფრო გააძლიერებს და დააჩქარებს საქმის წარმოების პროცესს.

მესამე და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი გამჭვირვალობისა და საჯაროობისა იქნება ის, რომ ყველა გადაწყვეტილება, რასაც მიიღებს პირველი ინსტანცია, შემდეგ სააპელაციო და საბოლოოდ უზენაესი სასამართლო, მათი საბოლოოდ ხელმოწერის, მონაცემების დამუშავებისა და დამტკიცების შემდგომ, ამ პროგრამის მიხედვით, მთლიანად გადაწყვეტილებები, თავისი შინაარსით, საჯაროდ დაიდება ვებგვერდზე და ყველას ექნება მისი მოძიებისა და ნახვის საშუალება.

აქამდე ჩვენ ასეთი შესაძლებლობა არ გვქონდა და ამიტომაც იყო ძალიან ბევრი თხოვნა და მოთხოვნაც მესამე პირების მხრიდან და არა პრო-



ცესში მონაწილე მხარეების მხრიდან (რადგან მათ ყოველთვის, ისედაც აქვთ ამის შესაძლებლობა), რომ მიგვეცა მათთვის საჭირო და საინტერესო საქმის გადაწყვეტილების ასლები. ამ მოქმედებას კი გაცილებით მეტი დრო მიჰქონდა. შესაბამისად, ახალი პროგრამის ამოქმედება, მოხსნის ყველა პრობლემას ამ მიმართულებით.

— რა პროგრამები ამოქმედდება, უშუალოდ, უზენაეს სასამართლოში და რა პერიოდისა და რა სახის გადაწყვეტილებების მოძიება შეეძლება მოქალაქეებს აღნიშნული პროგრამების დახმარებით?

— მეორე პროგრამა, რომელიც დღეიდან ამოქმედდება უზენაეს სასამართლოში, გახლავთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო პროგრამა. სწორედ ამ პროგრამის საშუალებით გახდება იოლად ხელმისაწვდომი, ღია და საჯარო ყველა გადაწყვეტილება. მიუხედავად იმისა, რომ 2000 წლიდან უზენაეს სასამართლოში არსებობს ელექტრონულ გადაწყვეტილებათა ბაზა და ვებგვერდზე ან გადაწყვეტილებების ნახვის შესაძლებლობა აქამდეც იყო, ეს საძიებო სისტემა მაინც არ იყო სრულყოფილი. მოქალაქეს საათობით უნებდა კომპიუტერთან ყოფნა, მისთვის სასურველი ინფორმაციის მოსაძებნად.

დღეს კი, სასამართლო გადაწყვეტილებათა საძიებო პროგრამის საშუალებით, ყველას მიეცემა საშუალება, დროულად და ოპერატიულად მოიძიოს მისთვის საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია.

გარდა ამისა, ეს პროგრამა თავად სასამართლო მოხელეებსა და მოსამართლეებსაც დაეხმარება, მოიძიონ ზედა ინსტანციებში განხილულ საქმეთა გადაწყვეტილებები, რომელიც მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკისათვის.

ამ პროგრამით ისარგებლებენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც, რომლებიც სხვადასხვა ტიპის კვლევების ჩასატარებლად ხშირად მოგვმართავენ თხოვნით, მივანოდოთ სასამართლოს გადაწყვეტილებები.

— კიდევ ერთი სიახლე არქივის პროგრამის ამოქმედებას უკავშირდება. რამდენი წლის წინანდელი მასალების გაცნობის საშუალება ექნება დაინტერესებულ პირს?

— მესამე პროგრამა, რომელიც ასევე ამოქმედ-

და უზენაეს სასამართლოში, ეს გახლავთ

უზენაეს სასამართლოში დაცული ძალიან მნიშვნელოვანი, საინტერესო და ისტორიული გადაწყვეტილებების არქივი და ამ არქივში დაცული სისხლის სამართლის ყველა გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 1971 წლიდან 2005 წლის ჩათვლით.

დაზუსტებისთვის ვიტყვი, რომ სისხლის სამართლის კოლეგია უზენაეს სასამართლოში განიხილავდა პირველი ინსტანციის წესით განსაკუთრებით რთულ სისხლის სამართლის საქმეებს. მაგალითისთვის, უზენაესი სასამართლოს არქივში დაცულია ისეთი გახმაურებული საქმეები, როგორცაა: თვითმფრინავის გატაცების, ძიუდოში ევროპის ჩემპიონის საქმე, სხვადასხვა დანაშაულებებში ბრალდებული მხედრიონელების საქმეები და ასევე 70 წლების პარტიული მაღალჩინოსნების საქმეები, რომლებიც ქრთამის აღების ბრალდებით დახვრიტეს, ამიტომაც არის ეს გადაწყვეტილებები ისტორიული მნიშვნელობის მქონე და ის მთლიანად დაცულია უზენაესი სასამართლოს არქივში. აქ მე განსაკუთრებით ყურადღებას გავამახვილებდი ჟურნალისტებზე, რომელთაც ძალიან აინტერესებთ ისტორიული გადაწყვეტილებები, ასევე იმ მეცნიერებზე, რომლებიც აინტერესებთ, თუ როგორ იყო განმარტებული ესა თუ ის ნორმა და მუხლი ყოფილი კანონმდებლობის მიხედვით, ასევე მისი შედარება დღევანდელ კანონმდებლობასთან. ყველა მათგანს უკვე საშუალება ექნება სწრაფად მოიძიოს მისთვის სასურველი საარქივო გადაწყვეტილება საძიებო პროგრამის მეშვეობით, ნაცვლად იმისა, რომ მოვიდეს უზენაეს სასამართლოში, როგორც ეს აქამდე ხდებოდა და დაკავშირებული იყო დროსთან და ხარჯებთან.

სწორედ ეს არის ის სიახლეები, რომელზეც მუშაობა ამდენი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა და, ჩემი აზრით, ამ ყველაფრის შექმნით გაცილებით უფრო ღია, საჯარო და გამჭვირვალე გახდება სასამართლო სისტემა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ თაღლითობაში ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დააყენა. გიორგი ტყაბლაძეს ბრალი თავისი მეგობრის თ.ჯ.-ს წიგნების თაღლითურად მისაკუთრებაში ედება. საქმის მასალების მიხედვით, ბრალდებულმა სხვისი კუთვნილი ოქროს სამკაულები და მობილური ტელეფონი წყალტუბოში მდებარე ლომბარდში ჩააბარა. მატერიალური მდგომარეობის გამო ტყაბლაძემ მათი გამოსყიდვა და თ.ჯ.-სათვის მიცემული პირობის შესრულება ვერ შეძლო. წყალტუბოს შს სამმართველომ სისხლის სამართლის საქმე თაღლითობის ბრალდებით დაზარალებულის განცხადების შედეგად აღძრა.

საქმის გამოძიებისას ბრალდებულმა დაადასტურა მითითებული გარემოებები. მანვე გამოძიების მწარმოებელ ორგანოში თ.ჯ.-ს კუთვნილი ოქროს სამკაულები წარადგინა, მობილური ტელეფონის საფასური კი მეგობარს თანხით გადაუხადა. შეკრებულ მტკიცებულებათა ანალიზის შემდეგ, სასამართლომ ბრალდებულის მიერ თაღლითობის განზრახვა გამოირიცხა და გიორგი ტყაბლაძეს ბრალი მოუხსნა.

მსხეთის რაიონულმა სასამართლომ არასრულწლოვანები დაარბილად გაათავისუფლა



მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ორი არასრულწლოვანი ბ.ბ. და ს.ა. სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. ორივე მათგანს ბრალად ედება ქურდობის მცდელობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლების მცდელობა მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინამო უკანონო შელწევით.

არასრულწლოვანების მიერ ჩადენილი ქმედება დასტურდება, როგორც ბრალდებულების, ასევე მოწმეთა ჩვენებებისა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე.

სასამართლომ გაითვალისწინა ბრალდებულთა ასაკი და სხვა შემამსუშუქებელი გარემოებები. ორივე მათგანს გამოსაცდელ ვადად ხუთი წელი და რვა თვე დაუდგინა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

სამინისტროსთან სასამართლო დაპაუზება მოიხორციელდა



28 სექტემბერს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, შპს „კახაბერი-2009“-ს საჩივარი განიხილა და მას სახელმწიფოს სასარგებლოდ გადასახდელი 500-ლარიანი ჯარიმა მოუხსნა. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, შპს „კახაბერი-2009“-მ სალიცენზიო პირობების შესრულების შესახებ ანგარიში დაგვიანებით წარადგინა. ამით მან ჩაიდინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა — ნიაღვრის სარგებლობა სათანადო პირობების დარღვევით. კანონი ამგვარი სამართალდარღვევისთვის 500-ლარიანი ჯარიმის გადახდას ითვალისწინებს.

სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსზე დაყრდნობით, მხარეებს შორის დაეკისრა შპს-ს სასარგებლოდ გადაწყვიტა. ადმინისტრაციულმა პალატამ დაადგინა, რომ „კახაბერი-2009“-ს არ ჩაუდგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. კანონის შესაბამისად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე დღეს, ვადის დამთავრების თარიღად ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე. ამდენად, სასამართლომ აპელანტის მოთხოვნა სამართლიანად მიიჩნია და მისი საჩივარი ჯარიმის მოხსნის შესახებ დააკმაყოფილა.